ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება:**ბ74.7422125001**

თარიღი:**05/05/2022**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობებიან და უპირობო ელექტრონულ აუქციონზე პრივატიზების, ასევე სარგებლობის (იჯარა) უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54- ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დაგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. პირობებიან და უპირობო ელექტრონულ აუქციონზე განხორციელდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართი N1-ში მითითებული უძრავი ქონების პრივატიზება.
2. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი მოწამეთას მონასტერთან არსებული ვიზიტორთა ცენტრის, შენობებისა და საპარკინგე ადგილების (ს/კ 39.07.33.133 და ს/კ 39.07.32.358) სარგებლობის (იჯარა) უფლებით გადაცემის შესახებ, დანართი N2-ის შესაბამისად.
3. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა, უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის გამოცხადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი